



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

№ 6

ქ. ბათუმი

2018 წლის 11 აპრილი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

ე ს წ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- | | |
|----------------------|--|
| თამაზ სალუქვაძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ლაშა სირაბიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| გოჩა მგელაძე | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ირაკლი პატარიძე | - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| დემეტრი ჭეიშვილი | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ომარ მახარაძე | - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე; |

ანზორ დევაძე	- საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;
ნატალია შიშიგური	- საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	- საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
მირდატ ქამადაძე	- საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
დავით მახარაძე	- საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	- საკრებულოს წევრი;
ელგუჯა ანდრიაძე	- საკრებულოს წევრი;
ირაკლი მიქელაძე	-საკრებულოს წევრი;
რაულ თავართქილაძე	-საკრებულოს წევრი;
არჩილ მამულაძე	-საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	-საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	-საკრებულოს წევრი;
არ ესწრებოდნენ:	
ნატალია ზოიძე	- საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
როინ ზოიძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი თოფურიძე	- საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი- ა. ვანაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი- ე. ლომაძე;
- ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტები;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი-რაულ ბოლქვაძე; საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტები: გურანდა აბულაძე და ზადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე ს. თებიძე სხდომის მონაწილეებს მიესალმა და აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ ჩვენს ქვეყანაში უბედური შემთხვევა მოხდა, რომელსაც 6 მაღაროელი შეეწირა, წუხს მთელი ტყიბული, საქართველო. მან საკრებულოს წევრებს სთხოვა ფეხზე ადგომით და წუთიერი დუმილით პატივი მიაგონ მაღაროელების ხსოვნას.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

2. „ქალაქ ბათუმში ახალი ზოოპარკის მშენებლობის ტერიტორიის განსაზღვრისა და ზოოპარკის მშენებლობასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - არჩილ ვანაძე)

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 22 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ბათუმის მერიის მიერ იქნა ჩატარებული დახურული ტენდერი, ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების საკურორტო-სარეაბილიტაციო მომსახურებასთან დაკავშირებით, ტენდერი გამოცხადდა მიმდინარე წლის 28 მარტს და გაიმარჯვა ამავე დღეს დარეგისტრირებულმა შპს „გინფორდმა“, რაც ეჭვს ბადებს კორუფციულ გარიგებასთან, რის გამოც ქ. ბათუმის მერისგან მოითხოვს განმარტებას.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა ბათუმის მერიაში დაანონსებული რეორგანიზაციის შესახებ, რომელიც უნდა დასრულდეს მიმდინარე წლის 1 მაისამდე. საკრებულოს გადაწყვეტილებით მერიის ახალი სტრუქტურა დამტკიცდა, ამდენად დღემდე თანამშრომლებმა არ იციან თუ რა ბედი ეწევათ მათ. ასევე დღეს დღის წესრიგით გათვალისწინებულია ზოოპარკის გადატანაზე მსჯელობა, რადგან დღემდე ტენდერი ვერ ჩაატარეს და ცხოველებს კვების პრობლემა შეექმნათ. უმოქმედოდ და უფუნქციოდაა დარჩენილი ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსი“, ნაცვლად იმისა, რომ ქმედითი სტრუქტურა და სამსახურები იყოს მერიაში, ვხედავთ უმოქმედო ხელმძღვანელობას და სტრუქტურას. ამას დაემატა ნათელი მაგალითი იმისა, რომ აღდგომის დღესასწაულზე, ფერიის სასაფლაოზე განვითარებული მდგომარეობა, ტენდერი 5 აპრილს უნდა დასრულებულიყო გზის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, რომელიც არ დასრულებულა და ბათუმის მერმა ბოდიში მოუხადა საზოგადოებას, მაგრამ ბოდიშების მოსახდელად არ აურჩევია მოსახლეობას. მან მოითხოვა კაბინეტებიდან გამოსვლა და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ აღნიშნა, რომ 2013 წელს საკრებულოს გადაწყვეტილებით დაფუძნდა ა(ა)იპ „ბათუმის საცხენოსნო კლუბი“, რომელიც წარმატებულია. რამდენიმე დღის უკან კლუბმა მიიღო ქ. სტამბულში ღონისძიებაში მონაწილეობა, რომლებმაც საპრიზო ადგილი დაიჭირა, მაგრამ აქვთ პრობლემა, სპორტის განვითარებისათვის საჭიროა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მოხდეს მიწის ნაკვეთის გადმოცემა მერიისთვის, რათა ბიუჯეტში იქნეს გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ აღნიშნა, რომ ფერიის სასაფლაოზე გზა უნდა გაკეთებულიყო, რომლის თანხა ბიუჯეტით გამოყოფილია, მოგებული აქვს კომპანიას, მაგრამ საქმე დღემდე შეუსრულებელია. ეს არის უნიათობა და უპატივცემულობა ბათუმელების მიმართ.

საკრებულოს წევრი ი. პატარიძე დაეთანხმა ნ. დუმბაძეს, რომ ა(ა)იპ „ბათუმის საცხენოსნო კლუბი“ ნამდვილად საჭიროებს მხარდაჭერას. ინფრასტრუქტურა მოუწესრიგებელია. საცხენოსნო კლუბს წარმატებები უკვე აქვს.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების თაობაზე.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

1.„ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და ეკონომიკური
პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ევარსლან
ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში 2014 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეიცვალა ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისას აუქციონის ორგანიზების, აუქციონის ჩატარებისა და შესაბამისი გარიგებების გაფორმების წესი და პირობები. აღნიშნულ საკითხებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, არეგულირებს „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება და მასთან შესაბამისობის გამო, აღარ გამოიყენება თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №23 დადგენილება. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დადგინდეს დამატებითი წესები ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემასთან დაკავშირებით და დამტკიცდეს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმები.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ დასვა შეკითხვა ჯინჭარაძის ქუჩაზე აფეთქებულ სახლში მცხოვრებ მოსახლეობასთან შეთანხმების შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ მოქალაქეებთან მოლაპარკება ჩატარდა, შეთავაზებული იქნა მუნიციპალიტეტის საბინაო ფონდიდან არსებული ბინები, მაგრამ უმრავლესობამ განაცხადა უარი, მათი თხოვნაა იმავე მისამართზე მოხდეს იმდენივე ფართის ბინების გადაცემა, რაც ჰქონდათ. ამ წესის დამტკიცების შემდეგ მუნიციპალიტეტს

ექნება უფლება გამოაცხადოს აუქციონი სა-
ცხოვრებელი სახლის აშენების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრა-
ზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 22 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

2.„ქალაქ ბათუმში ახალი ზოოპარკის მშენე-
ბლობის ტერიტორიის განსაზღვრისა და
ზოოპარკის მშენებლობასთან დაკავშირებით
გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების
შესახებ“ ქალაქ ბა-თუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის ქონების მართვისა და
ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის
უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე (ს/კ. #05.23.06.004) მდებარეობს ზო-
ოკუთხე, რომელსაც უჭირავს 16000,00 კვ.მ.-მდე მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული
2070 კვ.მ. 18 შენობა-ნაგებობით (ადმინისტრაციული, ცხოველთა სადგომები,
ვოლიერები და ა.შ.). იგი ბათუმის ტერიტორიაზე ერთადერთი ეგზოტიკური კუთხეა
და წარმოადგენს ბათუმში მყოფი ტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის
დათვალიერების ობიექტს (აქ ბინადრობენ როგორც ადგილობრივი ფაუნის წარმო-
მადგენლები, ისე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ბინადარი ცხოველები), გართობის
ადგილს განსაკუთრებით ბავშვებისათვის ზაფხულის პერიოდში. შესაბამისად, ზო-
ოკუთხე საჭიროებს შემდგომ განვითარებასა და გაფართოებას, რისი პერსპექტივაც
თავისი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით მას არ გააჩნია - ერთი მხრიდან ესა-
ზღვრება საცხოვრებელი კორპუსები და კერძო სახლები, მეორე მხრიდან
ცენტრალურ პარკში არსებული ტბა. შესაბამისად დგება ბათუმის ზოოკუთხის სხვა
ტერიტორიაზე გადატანის, ახალი ზოოპარკის მშენებლობის, შესაბამისი საპროექტო
და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავების საკითხი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სხვადასხვა სამთავრობო
უწყებებთან გამართული კონსულტაციების შედეგად ახალი ზოოპარკის
მშენებლობისათვის შერჩეული იქნა ჩაქვის მხრიდან ბათუმის ბოტანიკური ბაღის
მომიჯნავედ მდებარე ტერიტორია, რომელიც მოიცავს საკადასტრო კოდით აჭარის
ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს.
მთლიანი ტერიტორიის ფართობი სულ შეადგენს 173338 კვ.მ.-ს. აღნიშნული ტერი-

ტორიის შერჩევა მოხდა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ იგი იძლევა ზოოპარკის გაფართოების, ბინადართა შემატების, მათი ყოფითი პირობების გაუმჯობესების საშუალებას. ასევე, როგორც ბატანიკური ბაღის მომიჯნავე ტერიტორია ჩართული იქნება ბაღის დამთვალერებელთა მარშრუტში ერთიანი სერვისის მიწოდებით.

უნდა განხორციელდეს ჩამოთვლილი მიწის ნაკვეთების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის და რეგისტრაციის ღონისძიებები. ამასთან, არსებული ინფორმაციით საქართველოში არ მოიძებნება ზოოპარკის მშენებლობის დამპროექტებელი სპეციალისტები, რაც იწვევს ამ კუთხით უცხოელი სპეციალისტების ჩართვის აუცილებლობას. უცხოელი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩართულობით ახალი ზოოპარკის მშენებლობის საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების საკითხში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს დახმარებას უწევს ფონდი „ქართუ“, მას ამ კუთხით უკვე დაწყებული აქვს მუშაობა. ფონდი „ქართუ“ ასევე მზადაა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ტერიტორიის მომზადებისას დაიწყოს ახალი ზოოპარკის სამშენებლო სამუშაოები.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია თვლის, რომ უნდა განისაზღვროს ქალაქ ბათუმში ახალი ზოოპარკის მშენებლობის ტერიტორია და დროულად გატარდეს ზოოპარკის მშენებლობისათვის ტერიტორიის მოზადებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ დასვა შეკითხვა, ზოოკუთხის გადატანის შემდეგ აღნიშნული ტერიტორიის განვითარების შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ პარკის განვითარებას რაც შეეხება იგულისხმება პარკისთვის დამახასიათებელი ობიექტების სკვერის თუ გამწვანების მოწყობა, რომლის განხილვა მომავლის თემაა.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ აღნიშნა, რომ განკრგულებაში წერია: მიწის ნაკვეთის თვითნებურად დამკავებელი პირების ვინაობის დადგენა და გამოთავისუფლების მიზნით შესაბამისი წინადადების შემუშავება, რა წინადადებების შეთავაზება ხდება მოქალაქეებისთვის, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლები არ მდებარეობს, თვითნებურად აქვთ დაკავებული მიწის ნაკვეთები ნარგავებით, რის გამოც მოხდება მოლაპარაკებები და მიიღებენ ნარგავებზე კომპენსაციას, რაც შეეხება სტატუსს, უსასყიდლოდ გადმოცემა მუნიციპალიტეტს.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ დასვა შეკითხვა აღნიშნული ტერიტორიიდან ხეების გადარგვისა და ბათუმის ცენტრალურ პარკში,

ზოპარკის ადგილას, რესტორნის აშენების თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქონება სახელმწიფო საკუთრებაა და დაგეგმილია ცენტრალური პარკის განვითარება.

საკრებულოს წევრმა დ. ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი მნიშვნელოვანია, რადგან ცხოველები არ იყვნენ სათანადო კუთხეში, ასევე დისკომფორტს უქმნის იქ მცხოვრებ მოსახლეობას, თვით მოსახლეობაც ითხოვდა პრობლემის მოგვარებას. მერის იდეაა, მაგრამ დაკვეთაა ამომრჩევლებისგან. მადლობა გადაუხადა „ბანკი ქართუს“ სიკეთის გაკეთებისათვის.

საკრებულოს წევრმა ბ. გოგოტიშვილმა აღნიშნა, რომ ზოპარკის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობს, სადაც შემაწუხებელი სუნია, ხმაურია და ბავშვებს ვერ აძინებენ.

საკრებულოს წევრმა ზ. ნაკაიძემ აღნიშნა, რომ ზოპარკის დღეს არსებულ ტერიტორიას სკვერის სტატუსი აქვს მინიჭებული. იგეგმება ცენტრალური პარკის, როგორც მიმზიდველი ობიექტის განვითარება. დღეს მდგომარეობით სხვა პროექტი მოცემულ ტერიტორიაზე არ განიხილება.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ განაცხადა, რომ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არ დაუჭერს მხარს წარმოდგენილ საკითხს, რადგან ზოოკუთხის გადატანაზე დიდი ხანია საუბრობს საზოგადოება, მაგრამ წარმოდგენილ მოუმზადებელ პროექტს არ უჭერს მხარს.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ აღნიშნა, რომ კანონის ფარგლებში და კანონიერად მოხდეს გადაწყვეტილების მიღება და ზოპარკიც ხალხის უნდა იყოს.

საკრებულოს წევრმა ზ. ნაკაიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი განხილული იქნა კომისიის სხდომებზე, სადაც ძირითადი კითხვები საკრებულოს მუშაობაში ისმება. კომისიის სხდომაზე ფრაქცია „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაუჭირა მხარი, რაზედაც ნ. დუმბაძემ უპასუხა, რომ კომისიის სხდომაზე კენჭისყრისას ხმა მიეცა იმის გამო, რომ სამართლებრივი საკითხები საკრებულოს სხდომაზე განხილულიყო.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 22 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 5 (ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - არჩილ ვანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიხედვით განისაზღვრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვის წესი, რომლის მიხედვითაც სარეზერვო ფონდიდან წესის შესაბამისად მომავალში დაფინანსდება ისეთი გადასახდელები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით. მათ შორის:

- ა) სტიქიური, ბუნებრივი და სხვა საგანგებო ხასიათის მოვლენებით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციო და ინფრასტრუქტურის აღდგენის ღონისძიებები;
- ბ) სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი სახლების აღდგენა, რეაბილიტაცია და მშენებლობა;
- გ) სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ქირის საფასურის გადახდა.
- დ) ხარჯები დაავადებულ პირთა მედიკამენტოზური, ოპერაციული და სხვა ფორმით მკურნალობისათვის;
- ე) ხარჯები მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ პირთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის;
- ვ) ავარიული შენობების მესაკუთრეებთან შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, საკუთრებში არსებული ფართის მონაცვლეობის საკომპენსაციო ხარჯები;
- ზ) ღონისძიებები, როცა რეაგირების დაყოვნებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს, ქონებას, ან ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას.

პროექტით გათვალისწინებულია სარეზერვო ფონდიდან მოქალაქეების (ოჯახების) დახმარების მიზნით სათათბირო ორგანოების - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის შემსწავლელი მუდმივმოქმედი საბჭოს და ქალაქ ბათუმის მუნიციპა-

ლიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა მატერიალური დახმარების შემსწავლელი მუდმივმოქმედი საბჭოს შექმნა. ასევე, მტკიცდება სარეზერვო ფონდიდან მოქალაქეთა (ოჯახების) დახმარების გაწევის კრიტერიუმები.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა ო. მახარაძემ აღნიშნა, წარმოდგენილ პროექტში ცვლილების შეტანის თაობაზე, კერძოდ: კომისიას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი პროექტის რიგი საკანონმდებლო მუხლი/პუნქტი არის ზედმეტი, როგორცაა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე და 24-ე მუხლები არ წარმოადგენს დადგენილების პროექტის არსობრივად შემადგენელ ნაწილს და უნდა იქნეს ამოღებული.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 22 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა

საკრებულოს თავმჯდომარე:
თებიძე

სულიკო

ოქმის სისწორეს
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე – საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ს. შვენთიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული
განყოფილების უფროსი

მ. თურმანიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე – საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი

